



**ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური**

4 აგვისტო 2026



N189798

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„შპს „ჯი ეს ეს“-სთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2026 წლის 22 აპრილის N 189239 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

შპს „ჯი ეს ეს“-ის (ს/ნ - 445589596) (შემდგომ - სუბიექტი) მიერ 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) წარედგინა 2026 წლის 23 მარტს. აღნიშნული ანგარიშგების თანახმად დგინდება, რომ სუბიექტი მოცემული საანგარიშგებო პერიოდის მიზნებისთვის წარმოადგენდა III (მესამე) ზომითი კატეგორიის საწარმოს.

სამსახურმა უზრუნველყო საწარმოს მიერ წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და დადგინდა, რომ სუბიექტის მიერ არ იყო წარმოდგენილი საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები სრულყოფილად. აღნიშნულის საფუძველზე სუბიექტის მიმართ გაცემულ იქნა „შპს „ჯი ეს ეს“-სთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2026 წლის 22 აპრილის N 189239 ბრძანება, რის საფუძველზეც საწარმოს დაეკისრა ფულადი სანქცია 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით და დაევალა დადგენილი ხარვეზების აღმოფხვრა ბრძანების გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ადმინისტრაციული ორგანოს სისტემის თვითკონტროლის მიზნით, სამსახურმა უზრუნველყო წარმოების დაწყება და მის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებ(ებ)ის გადასინჯვა. სამსახურმა გამოიკვლია სუბიექტის მიმართ გაცემული „შპს „ჯი ეს ეს“-სთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2026 წლის 22 აპრილის N 189239 ბრძანება და აღნიშნული წარმოების საფუძველზე, სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2026 წლის 28 ივლისის N 71442-16 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად დაადგინა, რომ ანგარიშგების ვებგვერდის დროებითი ტექნიკური ხარვეზიდან გამომდინარე, სუბიექტს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვლისწინებული წერილობითი გაფრთხილების ნაცვლად, შეცდომით დაეკისრა ფულადი ჯარიმა - 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „ჯი ეს ეს“-სთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ” სამსახურის უფროსის 2026 წლის 22 აპრილის N 189239 ბრძანებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:


„1. სუბიექტს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება“.

2. ამავე ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას“.

3. აღნიშნული ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

ზაზა რუხაია



სამსახურის უფროსის მ. შ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

